საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/127

07 ივლისი, 2023 წ. ქ. ბათუმი

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ბუნებრივ ნაერთთა ანალიზი" დოქტორანტ ჯეირან ფუტკარაძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, „საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ" ბსუ-ს აკადემიურის საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N49 დებულების, ბსუ-ს რექტორის 2015 წლის 2 ოქტომბრის №01-09/471 ბრძანების (ჯეირან ფუტკარაძის დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ), ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 9 მარტის №01-08/77 ბრძანების (2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ბსუ-ს სტუდენტთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის (შიდა მობილობის) შესახებ), საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (03.07.2023, ოქმი № 27–20/12) და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (07.07.2023 №841419), ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 5 ივლისის №01-14/285 ბრძანების (რექტორის მივლინების შესახებ) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „ბუნებრივ ნაერთთა ანალიზი"-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ჯეირან ფუტკარაძის სადისერტაციო ნაშრომის: **„Prunus cerasifera Ehrh ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ქიმიური შედგენილობისა და ანტიოქსიდანტური აქტიურობის დადგენა"** საჯარო დაცვა დაინიშნოს 2023 წლის 21 ივლისს, 13:00 საათზე, №328 აუდიტორიაში (ბსუ-ს II კორპუსი, მე-3 სართული, ბათუმი, ნინოშვილის /რუსთაველის №35/N32).
2. დამტკიცდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი დარგობრივი სადისერტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ქეთევან დოლიძე** - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ბიოლოგიის დარგობრივი

დეპარტამენტის პროფესორი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) **ნანა ზარნაძე** - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის მდივანი;

გ) **ირინა ბეჟანიძე** - ქიმიის დოქტორი, ბსუ-ს ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი;

დ) **მაია ვანიძე**- ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;

ე) **თინა ხარებავა** - ქიმიის დოქტორი, ბსუ-ს ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტის ასისენტ-პროფესორი;

ვ) **მზია დიასამიძე** - ქიმიის დოქტორი, ბსუ-ს ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტის მოწვეული უფროსი მასწავლებელი;

ზ) **რაული გოცირიძე** - ქიმიის დოქტორი, ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

თ) **რუსლან დავითაძე** - ქიმიის დოქტორი, ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი;

ი) **დარეჯან ჩიქოვანი** - სოფლის მეურნეობის დოქტორი, ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მეცნიერი თნამშრომელი;

კ) **ედიშერ კვესიტაძე**- ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების დეპარტამენტის უფროსი.

3. ბსუ-ს რექტორის ბრძანება და სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (საჯარო დაცვის თარიღის, დროის, ადგილის, დოქტორანტისა და სადისერტაციო თემის შესახებ).
4. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
5. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი ქ. დოლიძე) და მდივანს (ასოც. პროფესორი ნანა ზარნაძე).
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. 130).

რექტორის მოადგილე, პროფესორი
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **თამარ სირაძე**